საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3662-03
12/12/2018

რექტორის 2018 წლის 7 ნოემბრის N3535-03 ბრძანებაში ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე, აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 12 დეკემბრის N21451-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 7 ნოემბრის N3535-03 ბრძანების ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ პირველ პუნქტში და დაემატოს პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებულ სადოქტორო პროგრამის კულტურის კვლევების მიმართულებას ორი ვაკანტური ადგილი, პოლიტიკის მეცნიერებას - ორი ვაკანტური ადგილი, პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნტში მითითებულ განათლების სადოქტორო პროგრამას - სამი ვაკანტური ადგილი და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.გამოცხადდეს მიღება 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინურ სადოქტორო პროგრამის, განათლების სადოქტორო პროგრამისა და ციფრული ჰუმანიტარიის სტურუქტურირებულ სადოქტორო პროგრამის შემდეგ მიმართულებებზე:

ა) სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა:

ფსიქოლოგია-7 ვაკანტური ადგილი;

ფილოლოგია- 5 ვაკანტური ადგილი;

ისტორია- 3 ვაკანტური ადგილი;

კულტურის კვლევები-4 ვაკანტური ადგილი;

ხელოვნებათმცოდნეობა- 2 ვაკანტური ადგილი;

არქეოლოგია- 3 ვაკანტური ადგილი;

სოციოლოგია-3 ვაკანტური ადგილი;

პოლიტიკის მეცნიერება- 7 ვაკანტური ადგილი;

ბ) ციფრული ჰუმანიტარიის სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა:

ციფრული ეპიგრაფიკა- 1 ვაკანტური ადგილი;

ციფრული პროსოპოგრაფია -1 ვაკანტური ადგილი;

კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება-1 ვაკანტური ადგილი;

გ) განათლების სადოქტორო პროგრამა- 10 ვაკანტური ადგილი.

2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს;

3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების და ბრძანებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი